

ლიცენზირებული საშური



საშურის მუნიციპალიტეტის გაზეთი „საშურის მოამბის“ დამატება

№1, 3 სექტემბერი, ხუთშაბათი, 2015 წელი



საშურის კულტურულ-საგანმანათლებლო მიმართულებასა და გვერდებზე გვესაუბრება საშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე, საქართველოს ტაქსიკური უნივერსიტეტის პროფესორი ვაჟა შუბითიძე

საშური ბანათლებისა და კულტურის ცენტრი იქნება

- ბატონო ვაჟა, ყველასათვის ცნობილია, რომ საქართველოში ახალ ხალხს უფლება, ვალდებულებათან ერთად, მყარად ფასავალდებულებული მრავალწინაგონი პრობლემების გადაჭრა დაეძინოს. განსაკუთრებით, რეგიონებისთვის და, მათ შორის, ჩვენი რაიონისთვისაც თვითმართვალის არჩევნების შემდგომი ერთი წელი ურთულესი აღმოჩნდება. თუმცა, იმავდროულად, - უკეთესი მომავლის პერსპექტივებით. ამჯერად, საშურის კულტურულ-საგანმანათლებლო მიმართულებებზე ვისაუბროთ. რა კეთდება ამ მხრივ და რას უნდა ველოდეთ მომავალში?

- ყველაზე დიდი გამოცოცხლება რაიონში სწორედ ამ მიმართულებით მოხდა. ჩემი სპეციალობიდან გამომდინარე, თავად ვკურირებ ამ სფეროს და ჩემს ყველა რესურსს ვიყენებ. ამ კუთხით რაიონის ინტელიგენციის ერთსულვანი მხარდაჭერა გვაქვს. მნიშვნელოვანია ის ფაქტი, რომ ჩემი ინიციატივით, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ხელმძღვანელობამ ძალზე გონივრული და საჭირო გადაწყვეტილება მიიღო საშურში „სტუ“-ს ფილიალის დაარსების შესახებ. კარგად მოგვესვენება, საერთო ეკონომიკურ-ფინანსური კრიზისის ფონზე, კიდევ უფრო მეტად გაჭირდა რეგიონის სტუდენტებისთვის დიდ ქალაქებში სწავლისა, თუ საარსებო ხარჯების გადახდა. მაგალითისთვის, თბილისში ბინის ქირა, კვება და ტრანსპორტი ოჯახს 7000 ლარზე მეტი უჯდება, რასაც სწავლის გადასახადიც ემატება. ასე, რომ კვალიფიცირებული უმაღლესი განათლების ადგილობრივად მიღება მრავალმხრივ ხელსაყრელია სტუდენტის ოჯახისთვის.

საუნივერსიტეტო შენობა ფილიალს უანგაროდ დაუთმო სურამისა და საშურის ეპარქიის მმართველმა, მეუფე სვიმეონმა. შენობის სრულ რეაბილიტაციას ორი მილიონი ლარი სჭირდება და იგი პრიორიტეტული ინფრასტრუქტურული პროექტების ეგიდით უნდა გაკეთდეს. იმედს ვიტოვებთ, სამინისტრო და პირადად ბატონი ნოდარ ჯავახიშვილი დააკმაყოფილებს ამ პროექტს და 2016 წლის სექტემბერში, გარემონტებულ შენობაში სწავლა დაიწყება რამდენიმე პრაქტიკულ და პრესტიჟულ სპეციალობაზე. მინდა, გითხრათ, რომ ფილიალი, ასევე მოემსახურება ბორჯომ-ახალციხის, ქარელის, საჩხერე-ჭიათურის, ხარაგაულ-ხესტაფონის და სხვა რაიონებსაც. 2016 წლისთვის გვაქვს, ასევე, დაგეგმილი სურამში უფასო პროფესიული სასწავლებლის დაარსებაც, სადაც მსურველები დაეუფლებიან სხვადასხვა აქტუალურ და უკვე დეფიცირებულ სპეციალობებსაც.

- მართლაც, საინტერესო და მისასალმებელი სიახლეებია. ბატონო ვაჟა, როგორც უკვე ცნობილი გახდა, ძვირფასი დიდი კატრიონისა და წმინდანის, დიმიტრი ყიფიანის სასლ-მუზეუმის რესტავრაციისთვის სასიკეთო ნაბიჯები გადაიდგა. როდის მოხდება ამ საამაყო კარის განახლება?

- სასლ-მუზეუმის რესტავრაციისთვის 900 ათასი ლარია გამოყოფილი, საშუალებები 2015 წლის შემოდგომიდან დაიწყება პრემიერ-მინისტრის, ბატონ ირაკლი ლარიაშვილის ინიციატივით. აქვე მინდა, აღვნიშნო, რომ საშურის საკრებულოს გადაწყვეტილებით, დიმიტრი ყიფიანის სახელი მიენიჭა ქალაქის ცენტრალურ მოედანს და მთავარ ბიბლიოთეკას. ასევე, დაწესდა დიმიტრი ყიფიანის სახელობის პრემია 2 ნომინაციაში, რომელიც ორ წელიწადში ერთხელ გაიცემა. (თითო - 2500 ლარის ოდენობით). პრემიის პირველი ლაურეატებიც გამოვლინდნენ: ნომინაციაში „დიმიტრი ყიფიანის ცნობრებისა და შემოქმედების კვლევისთვის“ პრემია მიენიჭება პროფესორსა და საზოგადო მოღვაწეს, ავტორს წიგნისა „დიმიტრი ყიფიანი - ახალი დიმიტრი თავდადებული“, გურამ ყორანაშვილს, ხოლო ნომინაციაში „განსაკუთრებული დამსახურებისთვის ქვეყნისა და მუნიციპალიტეტის წინაშე“, პრემია გადაეცემა ჩვენს თანამემამულეს, ისტორიკოსს თამაზ ლაცაბიძეს, რომლის ხელმძღვანელობით მომზადებული 6 წიგნი გამოიცემა 2015-2016 წლებში. დაგეგმილია, აგრეთვე, მხარეთმცოდნეობის მუზეუმის გაფართოებაც. მიმდინარე წელს რეაბილიტაცია უტარდება I საჯარო სკოლის ერთ-ერთ კორპუსს. ჩემივე ინიციატივით, სოფელ ფლევიში აიგება საჯარო სკოლის ახალი შენობა.

ამ და ბევრ სხვა კულტურულ-საგანმანათლებლო პროექტის განხორციელებას შეუწყობს ხელს საშურში, ჩვენ მიერ დაფუძნებული კულტურულ-საგანმანათლებლო აღორძინების ფონდი. მინდა, ისიც გაუწყოთ, რომ მიმდინარე ახერბაიჯანის კულტურის ცენტრს და მირზა ახუნდოვის მუზეუმის დირექტორს თბილისში, ლეილა აღიევას, რომელმაც, თავის მხრივ, მიმართა ახერბაიჯანისა და საქართველოს კულტურის სამინისტროებს, ახერბაიჯანის ელჩს რუსეთში, ბიულ-ბიულ ოდლის, რომელიც მისი წინაპრების, - ოსიაურში მდებარე ვეზირიშვილების სახახლის აღდგენასა და მუზეუმად ქცევაში დახმარებას დაგვიპირდა.

ერთი სიტყვით, წინ ბევრი საქმეა და ჩვენც მზად ვართ, პასუხისმგებლობა და მონდომება არა დავაკლოთ მათ შესრულებას.

- ქართველი მკითხველი დიდი ინტერესით შეხვდა ლიტერატურულ-შემეცნებით შურნალ „გზაჯვარედინს“, რომლის იდეა თქვენგან წამოვიდა, ახლა უკვე არსებობს ლიტერატურული დამატება იქნება და თქვენი ერთხელ გამოვა... ლიტერატურისა და, ზოგადად, განმანათლებლოებისადმი თქვენგან განსაკუთრებული დამოკიდებულება და მხარდაჭერა, როგორც იტყვიან, სულზე მოუსწრო საშურს, სადაც კულტურისა და ხელოვნების ასალორძინებლად დიდი პოტენციალი არსებობს შემოქმედი ადამიანების, ინტელიგენციისა და ნიჭიერი ახალგაზრდების სახით. იქნებ, თქვენს პროფესიულ პროფილსაც შევეხეთ. რა სიახლეს გვიპირდება სამომავლოდ, არაერთი საინტერესო კვლევისა და წიგნის ავტორი, პროფესორი ვაჟა შუბითიძე?

- სიმართლე გითხრათ, ამ ბოლოს, დრო აღარც მრჩება ჩემი პროფესიისთვის, მთლიანად სამსახურით ვარ დაკავებული. ახალი ნაშრომებისთვის იდეები მაქვს, პერიოდულად, სხვადასხვა სტატიებზეც ვმუშაობ.

ერთი საინტერესო სიახლე შემიძლია გაგიმხილოთ: კინორეჟისორი გოგა ხაინდრავა დოკუმენტურ ფილმს იღებს - „პოლიგონი“ ანუ საქართველო, როგორც იმპერიების გეოპოლიტიკური ინტერესების შეჯახების პოლიგონი. რეჟისორმა, ზაზა აბაშიძესთან ერთად მიმიწვია ფილმის ცენზარის ავტორად და კონსულტანტად, რაც ძალზე საინტერესო იქნება ჩემთვის. ეს ფილმი მსოფლიოს გააცნობს ქართველი ერის მაღალ ცივილიზაციურ კვალს, კულტურას, ქართული ცხოვრების წესის საუკეთესო მხარეებს.

უცხოეთმა უნდა გააცნობიეროს, რომ ჩვენ მხოლოდ პოლიგონი კი არ ვართ, არამედ დიდი კულტურისა და ისტორიის მქონე ერი, რომელსაც მომავალიც დიდი აქვს.

- გვადლოთ, საინტერესო საუბრისთვის. წარმატებებს გისურვებთ!

პ ე ზ ი ა

მუხად მთვარეობა



* * *

მაოჯებს მავ თვალთა ნათელი,
 სულის უწყნაური შუქი,
 შენ მე გაზაფხული მაჩუქე,
 მე ჩემს შემოდგომას გჩუქნი.
 ვიერი, რომ ახლოა ზამთარი,
 მართალი რომა თქვას კარმა,
 მე შენი გაზაფხული დავკრიფე,
 შენ ჩემს შემოდგომას ძარწვავ.
 ზამთრის ღამეები მაძინებს
 -უძინარ ფიქრების ჩობა,
 მე შენთან იებით მოვედი,
 შენ ჩემთან ვარდებით მოხვალ...

* * *

აჰა, შემოდგომა დაეცყო ქარებს,
 კვრინჩხი ცოცხე ისე ღამაზად შეხმა,
 მიყვარს ერთგულება და გუტყვი ზარემ:
 მიყვარს ის სიზმარი, რომელშიც შენ ხარ!

აჰა, რის ღიმილად ამოდის მთვარე,
 იქნებ, ეს ჭადარიც დაღვინოს შეხმა,
 მე კი, მე კი, კარგო, მსურს, ვითხრა ზარემ:
 მიყვარს ის ზღაპარი, რომელშიც შენ ხარ!.

ცაბიბული ბრძოლის სარდლის აღსარება

ეს იყო მაშინ და რადგან უკვე,
 ქარიშხლებს ველარ ვედიდგულები,
 იმ გაზაფხულებს კვლავ გუნდრუკს ვუკმევ
 მონატრებული მედიდურებით.

და მე ვიხსენებ მთვარის ამოსვლას
 სხივიდან სხივთა ნკვარამ გუნდებით,
 როს სიყვარულის გრძნეულ ღამეებს
 ვქარგავდით კორნის აზღაზულებით.

ღამის გრაგნილზე მიხატულ მთვარეს
 ჩვენ შევყურებდით, როგორც მისნები,
 მერე რის მოლოზე ვაგებდით კარვებს
 და ვარსკვლავებით უბეს ვივსებდით...

ქარებს მიჰქონდა ღამის სიზმრები,
 ბრძოლებს ვაგებდით არა ომებით
 და ორენბათა პირამიდებში
 თვითვე ვიყავით ფარაონები...

ახლა დაისის მშვიდი უამია
 და გულის გვიღონებს მტყუტე ხანი დღეს,
 საკუთარ გულში ველარ ვამღერებთ
 ნეფერტიტებს და ტყუანხამონებს...

და, მაინც, თითქოს მკვდრეთით აღმდგარი,
 ვდგავარ მდუმარედ შენს წინ მე ხელი,
 ვით ნაგებული ბრძოლის სარდალი,
 მაგრამ ჯერ კიდევ გაუტყებელი.

ხაბიბუნა ჩიბბაძე

უძინარი



ფეხდაფეხ,
 რისფერი მზე...
 რისკრის ვარსკვლავის მოგონება,
 კვადდაკვად,
 ალიონზე
 ჩუმი ზღაპარი და...
 როგორც ხდება!..
 ქუჩის დასახეისი
 გულის მხარეს,
 ჩამავალი მზიდან წამოსული,
 რისფერ ზავშვობაში ჩარჩენილი,
 მერე
 სიზმრებიდან გადმოსული...
 ჯერარ არ ჩამქრალი ნაპერწკალი
 ცრფობის ვარსკვლავებში
 გაფანტული,
 ორენბების ზღვაში დაკარგული,
 მოგონება,
 გულში დამარხული...
 ფეხდაფეხ,
 სიზმრებში გადავინება...
 გრძობა დამენია უხილავი,
 ლურჯი ღამის
 თეთრად გათენებას
 ამიტომარ ქვია
 უძინარი!

ზედნიერება მოდის
 ივბად,
 ყაყაჩობდად
 და ენძელებდად...
 მე პატიება,
 თუნდაც მჭრისა,
 არ მიძნელებდა!
 დრო კი ვასრულდა...
 არც რა დასრულდა?
 კვლავ დგება უამი
 ცრფობის, წარსულოთან...
 და ჩემი მრწამსის
 მავ-თეთრ ბილიკზე
 ვინყებ შეწობას,
 ვინყებ ძიებას
 და ყველა
 ავის მოსურნეთა,
 კვლავ პატიებას...

ღებოუჯი



მბრბამ ნობბაძე ხაშურის
 IX საჯარო სკოლის XII კლა-
 სის წარჩინებული მოსწავლეა.
 უყვარს ლიტერატურა, პოე-
 ზია. ფეხბუნდერი უოფლიოის
 მისი პირველი პოეტური ნაბიჯები

შუალამეა.. რა სევდისფრად დაუშვებს ფარდას,
 ნისლთა ზვირთები დაბურავენ ლურჯად პალიტრას,
 დარღიან სიტყვებს ველოდები, რითმების გარდა,
 ნვიმიან ფიქრებს ვეფერები, გულში ჩავიკრავ.
 ნყვდიადს ჩაურვამს მოლოდინის რუხი მანჭია,
 ქარწერხლთა აღში სინანულის კვარი ანთია.
 ნვიმის გუბებზე დაუფარავთ სულის სარკმელი,
 ზვირთები მახრჩობს, სულის მისველებს, მერ მაქვს სათქმელი!
 და მოლოდინის ურუანტელი სიზმრებს მოიხმობს,
 სველი ნოტივით შეაშრება ფიქრებს სურვილი,
 მე მელოდის აკორდებში ჩანთქმული სევდა
 ფეხდაფეხ მდევდა მთაგონების მწველი ნყურვილით...
 შუალამეა.. რა სევდისფერ ზღაპარს გამანდობს,
 უნის ქარწერხლში იღვენთება წრემლის სანთელი.
 მე სტრიქონების მღინარება თულა დამათრობს,
 მე, ჯერ ხომ, მათში უამრავი დამრჩა სათქმელი...
 შუალამეა...

3 რ თ ზ ა

გოდერძი ჯოგაძე დაიბადა 1993 წელს, სურამში. სწავლობს ივანე ჯავახიშვილის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტზე, კომპიუტერულ მეცნიერებათა მიმართულებით. წარს მოთხრობებს, ასევე, ნოვლებს და ლიტერატურულ-კრიტიკულ წერილებს. მისი დღევანდელი მუშაობა უზრუნველყოფს „გაზაფხარდინის“ ფურცლებზე.

შავი ჩემოდანი



მე გუშინ მოგვკვდი. ძალზედ მოულოდნელად მოხდა ეს ამბავი. ვფრთხილობდი, მაგრამ, ალბათ, ასე უნდა მომხდარიყო. ასე ძალიან არ უნდა მეზრუნა შავ ჩემოდანზე... კარგი იქნებოდა, მაშინვე მიემხვდარიყავი. მოგიყვებით, როგორც მოხდა... უნდა იცოდეთ ჩემი ამბავი. თუმცა ვიცი, რომ არ გაინტერესებთ... ამას მაშინ მივხვდი, როცა პირველად მნახეთ მკვდარი... მაინც მოგიყვებით, რადგან ახლა ვერაფერს ვგრძნობ და ეგ ამბავი აღარ მალელებს.

მეგონა, ყველაზე დიდი ცხოვრებისეული პრობლემის წინაშე ვიდექი, გამოსავლის ძებნაში ფიქრით თავი გამიბრუნდა, თითქოს, ამინდი ჩემს ფიქრებშიც შემოიჭრა, – წვიმის ცივი წვეთები, პირდაპირ, გულზე მეწვეთებოდა, უმწეოდ ცდილობდა ჩემს გამოფხიზლებას და სევდის ჩამორეცხვას. გამაყრუებელი ქუხილი საშიშ მუქარად ჩამესმოდა და ცაზე გაკლავილი ელვა გულისმომკვლელ დარდად იტოტებოდა ჩემს სხეულში. ყოველი მოძრაობა მექანიკურად იქცა...

შავი ჩემოდანი მარჯვენა ხელზე ხელბორკლით მივიბი. წვიმამ იმატა, მუქმა ღრუბელმა ცა დააბნელა, ხმამაღალმა გრუხუნმა, კიდევ უფრო გამიმძაფრა საფრთხის გრძობა... ხშირად ვამოწმებდი ხელბორკილის საიმედოობას და საქარე მინაზე პატარ-პატარა ნაკადულებად შეკრებილ წვიმის წვეთებში დაბრეცილ, სისველით აპრილებულ გზას გაფაციცებული ვუყურებდი. საათის ისარიც, თითქოს, განგებ ტრიალებდა გაცილებით სწრაფად, ვიდრე ადრე, ამიტომაც მეგონა, ვერ მოვასწრებდი და სიფრთხილეს სინქარე შევაპარე. გახსოვთ? გეუბნებოდით, სიფრთხილე და სინქარე ერთად არ შეიძლება – მეთქი...

ვადიარებ, მაშინ არ ვიცოდი, რას ვამბობდი, უაზროდ ჩანერგილი მოვალეობის გრძობის გამო მოგიგდეთ ეს ცარიელი სიტყვები... ახლა კი, გამოვცადე და მივხვდი. ზუსტად მაშინ, როცა საჭის ტრიალს აზრი აღარ ჰქონდა, ისღა დამრჩენოდა, სახეზე ხელები ამეფარებინა და დავლოდებოდი...

გზიდან რომ გადავვარდი, მაშინდა მივხვდი, რომ ხელები საჭეს მქონდა ჩაფრენილი და არა – სახეზე აფარებული. თვალები მხოლოდ მაშინ გაეახილე, როცა მინის ნამსხვრევები სახეზე შემეყარა და საკუთარი ძვლების ჭახანში არეულმა ტკივილმა მეკრძინა შემინგრია. მაშინ სამუდამოდ დავხუჭე თვალები... ადამიანურ გრძობებთან გამომშვიდობება ძალიან გამიჭირდა, მაგრამ მაინც მოვახერხე...! ამაში თქვენ დამეხმარეთ...

მოლოდინით უკანასკნელად აგიზგიზებული გრძობები თქვენი გულგრილობით ჩამიქრეთ!..

გმადლობთ, რომ მიშველეთ! გმადლობთ, რომ აფორიაქებული სული დამიწყნარეთ! გმადლობთ, რომ დროის განზომილების არარსებობას სწრაფად შემახვიეთ! ახლა ჩემთვის „სწრაფად“ აღარ არსებობს, მთელი სამყარო, ადამიანთა ბედისწერა მთლიანია და ერთდროული... არ ვიცი, სხვანაირად როგორ აგიხსნათ... ყველაფერი სხვაგვარად მოხდებოდა საავადმყოფოში შესვლისას, პირველად მამათქვენი რომ მოგეკითხათ და არა – შავი ჩემოდანი...

ალბათ, კიდევ დიდხანს გამეტანჯებოდა სული... თქვენი საქციელით კი, ერთხელ მატკინეთ... ძლიერად, მოუთმენლად, მაგრამ, რაც მთავარია, უკანასკნელად... მივხვდი, – თქვენ სხვები ხართ... თქვენ იმისი შვილები ხართ, ვის გაციებულ სხეულსაც ახლა მოჩვენ-

ებითი გულწრფელობით თავს დატრიალებთ... ახლა სრულიად თავისუფალი ვარ...! ეს წერილი ჩემი სულის შემბოჭავი გრძობების უკანასკნელი გამოძახილია... უკანასკნელად მინდა, ჩემი აზრი გაიგოთ... ალბათ, ვეღარც გაგაგებინებთ, რადგან სინათლის სხივზე ვწერ... ეს სიტყვები მაშინ მოვა თქვენთან, როცა გაიღვიძებთ, თვალს გაახელთ და დღის სინათლეს შეიცნობთ, მაგრამ ვერ წაიკითხავთ...

თვალსაზრისი

„თეთრსაყელიანთა დანაშაულის“ თეორია

„მაინც რა არის ჩვენი ყოფა-წესი? თუ არა, ოდენ საწყაული აღუვსებელი? ვინ არის იგი, ვისთვის გული ერთხელ აღუვსოს, და რაც მიუღოს, ერთხელ ნატვრით, ისი კეპაროს?“

ეს სტრიქონები ყველასთვის ნაცნობია ბარათაშვილის გენიალური ლექსიდან, რომლებიც იმაზე მიგვითითებს, რომ ადამიანი შინაგანად, გაცნობიერებულად, თუ გაუცნობიერებლად, ნებით, თუ უნებურად, „მომხვეჭელი“ არსებაა. ასე იყო წარსულში, ასეა ახლა და, ალბათ, ასე იქნება მომავალშიც. სწორედ ეს არის მთავარი გამოწვევა მიზეზი იმ პრობლემისა, რასაც „თეთრსაყელიანთა დანაშაული“ ჰქვია. ყველასთვის კარგად ნაცნობი და იმავდროულად უცნობი ფაქტებია. რას გულისხმობს ტერმინი „თეთრსაყელიანთა დანაშაული“? რატომ, მაინცდამაინც, „თეთრსაყელიანები“? საბარათაშვილმა შექმნა „თეთრსაყელიანთა დანაშაულის“ თეორია, რომელიც ეხება არა მარტო ცალკეულ ინდივიდებს, არამედ – კორპორაციებსაც. ეს თეორია გულისხმობს, რომ ინდივიდუალური დანაშაულები წვრილმან დანაშაულთა წარმომადგენლები არიან იმათთან შედარებით, ვინც გამოუსწორებელ ზიანს აყენებს საზოგადოებას, როგორც არიან უმადლესი სოციალურ-ეკონომიკური კლასის ის წარმომადგენლები, რომლებიც კანონს არღვევენ საქმიანობის პროცესში. მოკლედ რომ ვთქვათ, „თეთრსაყელიანთა დანაშაული“ ესაა ე. წ. მაღალ ეშელონებში თანამდებობების პირთა მიერ ჩადენილი „კანონიერი“ ქმედება.

„თეთრსაყელიანები“ არიან ის ბიზნესმენები და ორგანიზაციები, რომელთა უკანონო ქმედებები იწვევს მათთვის ხელშეწყობას საშარაო ხერხდგან კანონიერად თუ არაკანონიერად, ყოველთვის ახერხებენ ამის „მიჩქაღვას“. მათ შეუძლიათ, უარი განაცხადონ ხელფასის მომატებაზე მომსახურეთათვის, ასევე უმუშევარი დატოვონ ღირსეული კადრები. ამ ყოველივეს კი, აკეთებენ იმ იმედით, რომ მათ არ შეეხებათ სისხლის სამართლის კოდექსი. რა არის ამის მიზეზი? ვფიქრობ, რომ პასუხი ამ კითხვაზე თავად ადამიანის ბუნებაში უნდა ვეძებოთ.

როგორც უკვე აღვნიშნე, ადამიანი გაუმადლარი არსებაა. რაც უფრო მეტი აქვს, მით მეტი უნდა. ნათქვამია, – თანამდებობა და ფული ცვლის ადამიანს და ალბათ, მართალიცაა. ზრდასთან ერთად, იზრდება ადამიანის სურვილიც, დააგროვოს, რაც შეიძლება მეტი მატერიალური ქონება მცირე დროში. ეს ყველაფერი კი, დანაშაულის ჩადენით გაცილებით უფრო იოლად ხერხდება. ამას მოჰყვება კანონის დარღვევა, ან თუ ძალიან გავლენიანი თანამდებობა აქვს, შესაძლოა, თავად კანონიც კი მოარგოს თავის უკანონო ქმედებას.

ალბათ, არ არსებობს სახელმწიფო, სადაც ამგვარი დანაშაული არ ხდება, რადგან ყველა ქვეყანას ჰყავს თავისი „თეთრსაყელიანი“. რა თქმა უნდა, წარსულთან შედარებით, თანამედროვე მსოფლიოში ეს სიტუაცია საგრძობლად შეიცვალა, მაგრამ, კორუფცია, საბუთების გაყალბება, შავი პიარი, მექრთამეობა და სხვა მრავალი საზოგადოებისთვის საზიანო ქმედება, მაინც ხორციელდება გარკვეული დროით. მათ შორის, არც საქართველოა გამონაკლისი. ეს პრობლემა კი, განსაკუთრებით მწვავედ იდგა გასული საუკუნის 90-იან წლებში. მაგალითისთვის, თუნდაც, მაშინდელი განათლების სისტემა კმარა, სადაც კორუფცია და მექრთამეობა განვითარების პიკს აღწევდა.


ხშირად მსმენია მშობლებისგან თუ ნათესავებისგან, თუ როგორ ხედებოდნენ სასწავლებლებში „ფულიანი მამიკოს“ შეილები, ქრთამის ოდენობაზე იყო დამოკიდებული ე. წ. პრესტიჟულ ფაკულტეტებზე მოხვედრაც და, შემდგომში, საგნის ჩაბარება. ხალხი ამას ჩვეულებრივ მოვლენად აღიქვამდა. სამწუხაროდ, ეს ყველაფერი არ იყო მხოლოდ განათლების სისტემისთვის დამახასიათებელი. მექრთამეობა და კორუფცია თითქმის მთელ ქვეყანაში იყო გამეფებული. საბუნებისმეტყველების სისტემასთან დაკავშირებული ეს პრობლემა აღარ არსებობს. ეროვნული გამოცდების სისტემამ, ვფიქრობ, სრულად აღმოფხვრა კორუფცია და მექრთამეობა უნივერსიტეტებში. ქვეყნის ზოგადი მდგომარეობაც ბევრად უფრო გამოსწორებულია, ადრინდელთან შედარებით, თუმცა საქართველოში დღესაც არსებობენ „თეთრსაყელიანები“. „თეთრსაყელიანთა“ მიღმა ამოფარებული, დღესაც ვიღაცა ჩაგრავს თავის დაქვემდებარებაში მყოფს.

ფიქრობ, როგორც უნდა ვეცადოთ, „თეთრსაყელიანთა დანაშაული“ ყოველთვის იარსებებს, რადგან მისი სრულად აღმოფხვრა შეუძლებელია, სანამ ადამიანი ღვთიურ საწყისებს არ დაუბრუნდება და ამით, საბოლოოდ არ დაამარცხებს ყველანაირ მანკიერებას.

მარიამ აბალიანი.

ივანე ჯავახიშვილის სახელობის, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის IV კურსის სტუდენტი.

რეკვიზი



„სიტყვათა მწყობრი“ კიდევ ერთი კრებული - მურად მთვარელიძის „მესამე ნაპირი“

სად იწყება პოეტური ხილვე-
ბი და სულის სხვა სამყაროს-
თან მიხლება? – არაინ უწყის,
რამეთუ შეუცნობელია განსხ-
ვავებული აზროვნების მქონე
ადამიანის სამყარო, რომელ-
საც ორი საპირისპირო ნაპირის
გარდა, მესამე ნაპირიც გააჩნია.
რატომ, მაინც და მაინც „მე-
სამე ნაპირი“? აქამდე, პოეტ-
სა და ლიტერატურათმცოდნეს,
პროფესორ **მურად მთვა-**

რელიძის ორი ნაპირი უნათებდა მგზნებარე პოეზიის გზას:
„თოვს და ვფარფატებ თეთრი ფიფქივით,
მხრებზე ვიგროვებ ფიფქებს ნაფერებს,
მე დავეშვები უხმოდ მიწაზე
და გადავარჩენ თოვლის ფანტელებს“.

(„თოვლი“)

მაგრამ „თოთო კვირტები შეაჭკნა წარსულს“ და პოეტი სხვა სიღ-
რმეებისკენ მიისწრაფვის. აწმყო გრძელია, თუმცა „ნაწილი მისი წარ-
სულისაა“, მომავალში კი „მესამე ნაპირი“ რიალებს. „მესამე ნაპირი“
სადღაც, ცის დასალიერის ენაა, იქ, საიდანაც მზე ამობრდვიალდება,
სადაც სიმშვიდე უფრო მყარია, რადგან შეგიძლია, ორივე ნაპირს
უყურო. აქ ყველაფერი თითქოს ბრძოლაა კეთილსა და ბოროტს შორის:
„და ყოველ დილით წამოვდგები წელგამართული,
რომ მუხლებიდან ჯოჯოხეთი ჩამოვიფერთხო
და უფლის ნათელს ჩემი თვალების შუქი მოვფინო“.

(„მესამე ნაპირი“)

საიდან იღვრება ეს ნათელი? – ზეციდან, წარსული ნაპირე-
ბიდან. ის აძლევს პოეტის რითმას ჟღერადობას და სიტყვას აწ-
ქროლებს, იმ იდუმალებისკენ სწრაფვის სურვილს უძლიერებს,
სიზმრებში რომ ელანდება. მარადისობისკენ სწრაფვა გრძელდება:
„ყინვის სარეცელზე წკარუნებს ღამე“ და
„ვარსკვლავებს ისვრის ცა მთვარის ნავიდან
ქარები მოვიდნენ, ქარები წავიდნენ,
სული კი წამოდგა და გარეთ გავიდა“.

ხალხურ ლექსთან თანახიარია და ქარის ქროლ-
ვას ადევნებული სული, რომელსაც თავისი სხეული აქვს.
პოეტის სული ესაუბრება დედას, მის სანუკვარ სახეს, რომე-
ლიც უკვე, იმათი ნაწილია, ვისაც თოვლის ქვეშ სძინავს. გუ-
ლის ტკივილამდე მძიმეა მშობლების მონატრება და მისი გა-
მოხატვაც, ამოთქმაც მეტად განსხვავებულია, როცა სულში
ცრემლები წვიმად გუბდება. ყოფნა-არყოფნის უხუცეს კითხვებთან
ხშირად ჩნდება განცდა იმისა, რომ ეს ბოლოქარი სული ჩააჩუმო:
„იყუნე, სულო, დარდიანი შემოდგომაა,
შენ კვლავ მარტო ხარ, პოეტი ხარ,
შენ კვლავ ბავშვი ხარ...
იყუნე, სულო!“

ულამაზესია ლექსი „ღამე ნათლისმცემლის ტაძართან“. პოეტის
სულში ჟღერს უცხო მეტაფორა:
„წუხელ, როცა ქარმა აიკრიფა აფრები,
სულს შესცივდა, წამოისხა სისხლი,
ვარსკვლავები ცაზე დაეკიდნენ თმებით
და მერე კი, მისხლივ
ზამთრის პირის მიწას მოუძებნეს მკერდი
და დილადაც კენკეს,
ღრუბლის ნოხზე მთვარემ არ იცვალა გვერდი,
იტკიებდა ნეკნებს.“

ძნელია, პოეტის სულის ლაბირინთებში ბორიადი, „არიადნას
გორგალი“ კი თვითონ მურადს მისცა მუზათა მეუფემ, მანაც დაუზა-
რებლად, ძაფის წვერით არაერთ ნიჭიერ თაობას გაუკვალა გზა, რაც,
თითქოს ესტაფეტასავით გადასცეს მას **ნ. ბარათაშვილის** სახელო-
ბის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტიდან მისმა ლექტორებ-
მა. და, ასე გადასცემს იგი თაობებს პოეტური სიტყვის მადლს,
რადგან იცის, რომ მხოლოდ ბეწვის ხიდზე მთარულ მუზის მსახურს

შეუძლია იცლებოდეს და მარად ივსებოდეს პოეტური აღტაცებით.
მხოლოდ პოეტს, მუზის რჩეულს შეუძლია, თქვას:
„ქარი დარდიმანდი ბუზღუნებდა, –
„უნდა გელოდა“ –ო ქალი შინ,
მე კი, კოცნის ვერცხლით შეგჭკედე და
მთვარე – მზისსაყარზე გაგიშვი.
იყო გაზაფხულის გაზაფხული,
სული აღვსებული ქარიშხლით,
ტანზე კოცნა კაბად შემოგაცვი
და სიმარტოვეში გაგიშვი.“

(„წინანდელი ამბავი“)

ძნელია, „დაშალო“ ლექსი და მისი წარმოშობის ამბა-
ვი იკითხო, ძნელია, იპოვო ხილვების წყარო და სურვილთა აღ-
სრულება – ვერ აღსრულების მომენტები, რადგან პოეზია ის მა-
რადიული ქარია, რომლის ქროლვა „სიტყვის მწყემსს“ ატრიალებს,
დასაბამიდან მოსულსა და უსასრულობისკენ მიმავალს. ლა-
მაზია და უცხო ლექსი პოეტისა, რომელმაც ჯერ თავად ლექს-
თა მეფეების საუფლოში იხეტიალა, შემდეგ კი, აღზევდა სიტყვის,
რითმის სიკვადით და მისი სიტყვები „ქალაქმა იშვილა“...
დიდხანს ვფიქრობდი, წამეკითხა თუ არა ის მშვენიერი წი-
ნასიტყვაობა, რომელიც მურადის ქალიშვილმა, თათია მთვა-
რელიძემ წარუძღვარა კრებულს, მაინც თავი შევიკავე და
ვცადე, საკუთარი „მუზის ეტლით“ მეხეტიალა პოეტის „მე-
სამე ნაპირის“ სამყაროში, რომელიც მურად მთვარელიძის
2014 წლის „პოეტური მოსავლის“ ერთგვარი ანგარიშგებაა.

თამარ გომოლაძე,

პროფესორი, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი

თარგმანი

ახალი ბარძნულიდან
თბრბმნა თბთიბა მთბბარბულიძეა

კიბი ღიბულა

მარალაკვერელი კავშირი „თუ“...

წვიმს... წვიმამ სახლში შემომკეტა
და მერე შინ ვრჩები, მინდობილი წვიმის წვეთებზე.
თუმარ, რა ვიცი, ეს ნამდვილი წვიმა არის თუ
წრემლოები წვეთავს რომელიღაც სსოვნის ზეურდან...
და ვინაიდან, მეტისმეტად დიდი ვარ უკვე
საიმისოდ, რომ მოვლენებს სწორი სახელები
დაეჭვების გარეშე მივრე – ეს წვიმაა, ეს კი, – წრემლოები,
ვდგავარ თავიდან ბოლომდე მშრალი
ორ არჩევანს – წვიმის წვეთებსა და წრემლოებს შორის.
ვდგავარ და ორივე მხრიდან მიდვას ორზროვნება:
წვიმის წვეთები, თუ წრემლოები,
ტრფობის რეჩხლი, თუ ზრდა-სიბერის მტკარე კანონი,
შენ, თუ ხეს ოზლოდ შერჩენილი ფოთლის კანკალი,
თავის ჩრდილოთნ რომ უკანასკნელს ასრულებს რეკვას...
აი, ყოველ უკანასკნელს კი,
დაეჭვების გარეშე ვუხიმობ უკანასკნელად.
მეტისმეტად დიდი ვარ უკვე საიმისოდ, რომ
ეს წრემლოების საზაზად მექრეს.
ეს წრემლოებია, თუ წვიმაა, აზა, რა ვიცი?
წვეთებს მორჩილად მინდობილი ისევ შინ ვრჩები.
ჰო, მეტისმეტად გავიზარდე საიმისოდ, რომ
სხვა საზომი მქონდეს, როცა წვიმს,
სხვა – როცა არ წვიმს...
ერთი საზომი მაქვს – წვეთები ყველაფრისათვის.
წვიმის წვეთები, თუ წრემლოები?
სსოვნის თვალთავან დადენილი წრემლოები,
თუ ჩემ თვალთავან ჩამოღენილი?
მე, თუ სსოვნა? აზა, რა ვიცი...
უკვე ძალიან გავიზარდე საიმისოდ, რომ
ღრო გავმიჭნო.
წვიმა, თუ წრემლო?
შენ, თუ ხეს ოზლოდ შერჩენილი ფოთლის რახვახი,
უკანასკნელად მორეკვავე ფოთოლი, თუ შენ?